

NAMES OF DISEASES ACCORDING TO THE „KOBULETIAN-ADJARIAN DEDABRULI
MANUSCRIPTS

დაავადებათა სახელები „ქობულურ-აჭარული დედებრული ხელით“
შესრულებული ხელნაწერების მიხედვით

Mzia Khakhutaishvili

Doctor of Philological Sciences,
Associate Professor of Batumi Shota Rustaveli State University,
Batumi, Rustaveli/Ninoshvili st., №32/35, 6010, Georgia,
+995597870141, mzia.khakhutaishvili@bsu.edu.ge,
<https://orcid.org/0000-0002-9734-2714>

Nana Tsetskhladze

Doctor of Philological Sciences,
Associate Professor of Batumi Shota Rustaveli State University,
Batumi, Rustaveli / Ninoshvili st., №32/35, 6010, Georgia,
+995595917811, nana.tsetskhladze@bsu.edu.ge,
<https://orcid.org/0000-0002-7347-0033>

Abstract. The digital corpus of Kobuletian-Adjarian “Dedabruli Manuscripts” [BSU Targeted Scientific Grant Project, Contract N. 01-50/120), in addition to texts of other genres, it also contains amulets. These are manuscripts 1258 A and Q 1556 of the H fund preserved in the Kobuleti Museum (Kob.) and the Korneli Kekelidze National Center of Manuscripts. Texts of “Dedabruli Manuscript” amulets are also secret, they are understood only by the spellcasters.

Studying the names of diseases preserved in amulets reveals the geography of distribution of these diseases and the principles of their names.

The following hyperonyms can be found in the „Dedabruli” amulets: **Salmoba, Satkivari, Avaboda, Avadkofna, Sneuleba**. The Plague (Chiri) generally represents various human diseases. It is a hyponym in amulets. The Plague is not used as a co-hyponym. In the fundamental medical writings of the Middle Ages, the **black plague** is also called **Avi Zham-i**, which was not identified in amulets.

According to monastic medicine, the cause of all diseases in the world is **hot or cold wind**. Most of the names of infectious diseases include the word **qari (wind): kus qari** (mastitis), **sajdomi nervis tiaqari** (ischiodicis), **tiaqari** (hernia), **savajo bilwi qari** (diathesis), **sokos qari** (haemorrhoids), **qarebi** (rheumatism), **avi qari** (gout). Nikris Wind and Red Wind are not named.

In our materials there are also mentioned the symptoms of the diseases: **Medgari Tekhva** (severe pain of joints), **Medgari Salmoba** (severe illness), **Medgari Tskro** and **Khurveba** (severe fever) **Simwvavis qari** (severe pain).

Archaisms of fever-meaning Malaria are often found in the “Dedabruli” amulets, **Tskro** is often used in the spells (also preserved in Adjarian and Eastern dialects), as well as the new Georgian word **tsieba**. The term **malaria** is not used.

There is often hyponym **mavali** (contagious disease that would reach everyone).

Among the amulets are **sayvitlo** (hepatitis), **stomach and heart tskalmanki** (ascites and pericarditis), **sawereli** (panarthritis), **suravandi**, **jirkvala** (lymphadenitis).

The symptoms of the disease are named: **abdominal pain, cold, fever, Texa, Medgar Texa, tumor**. The latter is swelling, not an oncological disease.

Diseases that have not yet appeared are named in the research manuscripts, along with real diseases, superstitions are also found: **ujmuri** (evil spirit), **tvalis wakvra** (wink of the eye), **tvalis tsema** (catching the evil eye).

In the folk medicine of the Georgian languages, sometimes the name of the diseases and its healing plants/substances are the same (for example, kartsetskhla and eczema). **Matauri** (Kuntrusha) is name of disease and in Meskheta - a small oval healing stone of Matauri, which falls from the sky after a hailstorm. It is passed down from generation to generation. **Matauri** is used to treat female infertility, miscarriage, as well as conception of a child. **Uzhmuri** (evil spirit) is the name of both the diseases and the evil spirits causing the disease.

The names of the diseases preserved in the amulets indicate what diseases were widespread in Adjara at that time, as well as which of them were treated by magical methods or with their help, and in general, at what level of development medical knowledge was.

Keywords. Manuscripts; „Dedabruli manuscripts;” Kobuletian-Adjarian; Amulets; Names of diseases.

მზია ხახუტაიშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
 ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
 ასოცირებული პროფესორი,
 ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. 32/35, 6010, საქართველო,
 +995597870141, mzia.khakhutaishvili@bsu.edu.ge,
<https://orcid.org/0000-0002-9734-2714>

ნანა ცეცხლაძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
 ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
 ასოცირებული პროფესორი,
 ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. 32/35, 6010, საქართველო,
 +995595917811, nana.tsetskhladze@bsu.edu.ge
<https://orcid.org/0000-0002-7347-0033>

აბსტრაქტი. „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით შესრულებული ხელნაწერების ციფრული კორპუსი“ (ბსუს მიზნობრივი სამეცნიერო საგრანტო პროექტი, ხელშეკრულება № 01-50/120), გარდა სხვა ჟანრის ტექსტებისა, შეიცავს ავგაროზებსაც. ესენია ქობულეთის მუზეუმსა (Kob.) და კორნელი კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული H ფონდის 1258 ა და Q ფონდის 1556 ხელნაწერები. „დედაბრული ხელით“ შესრულებული ავგაროზების ტექსტებიც გასაიდუმლოებულია, ის მხოლოდ შემლოცველთათვისაა გასაგები.

ავგაროზებში დაცულ დაავადებათა სახელების შესწავლა ავლენს ამ სნეულებათა გავრცელების გეოგრაფიასა და მათი სახელდების პრინციპებს.

„დედაბრული ხელით“ შესრულებულ ავგაროზებში გვხვდება შემდეგი ჰიპერონიმები: **სალმობა, სატკივარი, ავადობა, ავადყოფნა, სნეულება, ავი ყოფნა**. ჭირი ზოგადად გამოხატავს ადამიანის სხვადასხვა დაავადებას. ის ავგაროზებში ჰიპონიმია, კოჰიპონიმად არ გამოიყენება. შუა საუკუნეების ფუნდამენტურ სამედიცინო თხზულებებში შავ ჭირს ჟამი/ავი ჟამიც ეწოდება, რომლებიც ჩვენს ავგაროზებში არ გამოვლენილა.

სამონასტრო მედიცინის მიხედვით სამყაროში ყველანაირი დაავადების გამომწვევი **ცხელი ან ცივი ქარია**. ინფექციურ დაავადებათა დიდი ნაწილის სახელწოდებაში შედის სიტყვა ქარი: **კუს ქარი, საჯდომი ნერვის თიაქარი, თია/თიაქარი, სავაჟო ბილწი ქარი** (საყმაწვილო), **მუცლის ქარი, ზუასილი** (სოკოს ქარი), **ქარები, ავი ქარი** (პოდაგრა), არაა დასახელებული **ნიკრისის ქარი და წითელი ქარი**.

ავგაროზებში გვხვდება არქაიზმები **ციებ-ცხელების, ანუ მალარიის** აღსანიშნავად. შელოცვაში ხშირად გამოყენებულია **ცხო** (შემორჩენილია აჭარულსა და აღმოსავლურ დიალექტებშიც), ასევე გვხვდება ახალი ქართული სიტყვა **ციება**. ტერმინი **მალარია** არ გამოიყენება.

ხშირია ჰიპონიმი **მავალი** (გადამდები დაავადება, რომელიც ყველასთან მივიდოდა).

ავგაროზებში დასახელებულია **საყვითლო** (ჰეპატიტი), **მუცლის და გულის წყალმანკი** (ასციტი და პერიკარდიტი), **საწერელი** (პანარიციუმი), **სურავანდი, ჯირყვალა** (ლიმფადენიტი).

ჩვენს მასალებში დასახელებულია დაავადებათა სიმპტომებიც: **მედგარი ტება** (სახსრების ძლიერი მტვრევა), **მედგარი ცხო და ხურვება** (ძლიერი ციებ-ცხელება), **სიმწვავის ქარი** (ძლიერი ტკივილი), **უჟამო მუცლის ტკივილი, სიმსივნე**. უკანასკნელი შემუშავება და არა ონკოლოგიური დაავადება.

საკვლევ ხელნაწერებში დასახელებულია სნეულებანი, რომელთაც ჯერ არ უჩენია თავი, ნამდვილ დაავადებებთან ერთად გვხვდება ცრურწმენაც: **უჟმური** (ავი სული), **თვალის წაკვრა, თვალის ცემა**.

ქართველურ ენათა ხალხურ მედიცინაში ზოგჯერ დაავადების და მისი სამკურნალო მცენარის/საგნის სახელი ერთი და იგივეა (მაგ. ქარცეცხლი და ეგზემა). **მატაური** ქუნთრუშაცაა და მესხეთში ამ დაავადების სამკურნალო ოვალური ქვაც, რომელიც სეტყვის შემდეგ ვარდება ზეციდან. ის თაობიდან თაობას გადაეცემა. „მატაურით“ მკურნალობენ ქალის უშვილობას, მუცლის მოშლას, აგრეთვე ბავშვის გათვალვას. **უჟმური** ჰქვია დაავადებასაც და ამ დაავადების გამომწვევ ავსულსაც.

ავგაროზებში დაცული დაავადებათა სახელები მიგვითითებს, რა სნეულებანი იყო გავრცელებული იმხანად აჭარაში, ასევე რომელ მათგანს მკურნალობდნენ მაგიური მეთოდებით ან მათი დახმარებით და საზოგადოდ, განვითარების რა დონეზე იყო სამედიცინო ცოდნა.

საკვანძო სიტყვები: ხელნაწერები; დედაბრული ხელი; ქობულურ-აჭარული; ავგაროზები; დაავადებათა სახელები.

შესავალი. „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ შესრულებულ ხელნაწერებს ქართველთა კულტურულ მემკვიდრეობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მათში მნიშვნელოვანი ინფორმაციაა დაცული ერის ისტორიის, სოციალური ყოფის სხვადასხვა სფეროს, ენის, კულტურის შესახებ. ამ გასაიდუმლოების პრინციპებით შესრულებულ ხელნაწერთა უმეტესობა ქალების მიერ ენისა და ეროვნული თვითმყოფადობის

დასაცავად ოსმალთა ბატონობის პერიოდშია შექმნილი. გასაიდუმლოებისთვის გამოიყენებოდა ასოთა კუთხოვანი მოხაზულობა, ხმოვანმეტობა, სიტყვების გაუმიჯნაობა, უინტერვალო წერა და სასვენი ნიშნების უქონლობა (ხახუტაიშვილი, 2017). „დედაბრული ხელითა“ შესრულებული პირადი წერილები, ნასყიდობის დოკუმენტების მინაწერები, ეპიგრაფიკული ნიმუში და ავგაროხები.

ბსუს მიზნობრივი სამეცნიერო საგრანტო პროექტ „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით შესრულებული ხელნაწერების ციფრული კორპუსის“ (ხელშეკრულება № 01-50/120) ფარგლებში შეიქმნა ამგვარ მანუსკრიპტთა ციფრული კორპუსი. ეს გახდება შემდგომი ინტერდისციპლინური კვლევების საწინდარი და მათი სანდოობის ხარისხის გაზრდის გარანტი.

ჩვენ ამჟამად გვანტერესებს დაავადებათა სახელები „დედაბრული ხელით“ შესრულებულ ავგაროხის ტექსტებში. ასეთებია: ქობულეთის მუზეუმის (Kob.) და კორნელი კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული H ფონდის 1258 ა და Q 1556 ხელნაწერები.

დაავადებათა სახელების შესწავლა საინტერესოა ტრადიციული მედიცინის, ეთნოგრაფიის, ლინგვისტიკის, ლინგვოკულტუროლოგიის, ეთნოლინგვისტიკის, დიალექტოლოგიის, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის, ამ სწეულებათა გავრცელების გეოგრაფიისა და დაავადებათა სახელდების შესწავლის თვალსაზრისით.

ნაშრომში პასუხი გაეცემა შემდეგ **საკვლევ კითხვებს**: რას წარმოადგენს ზოგადად ავგაროხები სტრუქტურულად და შინაარსობრივად? როგორ მიემართება მათ „დედაბრული ხელით“ შესრულებული ავგაროხები? რა დაავადებებს მკურნალობდნენ შელოცვებით? რომელი დაავადებები იყო გავრცელებული აჭარაში და რა ეწოდება ამ დაავადებებს ზემოდასახელებულ ავგაროხებში? არქაული ლექსემებით გადმოიცემა ისინი თუ დიალექტურით და რა მოიაზრება მათში? განვითარების რა საფეხურზეა ავგაროხების მიხედვით სამედიცინო ცოდნა?

მეთოდები. კვლევისას გამოყენებულია აღწერითი, ლინგვისტური ანალიზის, სინთეზის, ინდუქციის, დედუქციის, პალეოგრაფიული, კოდიკოლოგიური, დოკულის-გვისტიკის მეთოდები.

შედეგი. ქართველთა ეთნოგრაფიულ ყოფაში, ისევე როგორც სხვა ხალხებთან, ავგაროხი მაგიურ-აპოთროპეულ ფუნქციას ასრულებდა. თავდაპირველად ისინი წარმართულ ფორმულებს წარმოადგენდა, ქრისტიანულად შემდგომ გადაკეთდა და მათში სახარების ტექსტებიც ჩაერთო. ქართული ავგაროხები მე-19 საუკუნით თარიღდება. მათ შორისაა „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ შესრულებული ავგაროხებიც, რომელთა შინაარსიც მხოლოდ შემლოცველისთვის იყო გასაგები.

დედაბრული ხელით“ შესრულებულ ავგაროხებში მრავლადაა **ჰიპერონიმი: საღმობა, სატკივარი, ავადობა, ავადყოფნა, სწეულება, ავადობა, ავი ყოფნა.**

შელოცვებში ხშირად სახელდება **ქარი** და **ჭირი**. ეს უკანასკნელი ზოგადად გამოხატავს ადამიანის სხვადასხვა დაავადებას. ავგაროხებში ის **ჰიპონიმი, კოჰიპონიმად** არ გამოიყენება. შუა საუკუნეების სამედიცინო ლიტერატურაში **შავი ჭირი** მოიხსენიება, როგორც **ჟამი/ავი ჟამი**. ავგაროხებში არცერთი არ გამოვლენილა. დედაბრული ხელით შესრულებულ ავგაროხებში ის მოიხსენიება **მავალით**, რომელიც გადამდებ დაავადებათა საერთო სახელი, მთარული სენია.

ინფექციურ დაავადებათა ერთი ჯგუფის დასახელებებში შედის სიტყვა **ქარი**: **კუს ქარი, ავი ქარი (ნიკრისის ქარი, პოდაგრა), საჯდომი ნერვის თიაქარი, თია/თიაქარი, ქარები** (რევმატიზმი). **წითელი ქარი** არაა დასახელებული.

ავგაროზთა ტექსტებში დასახელებულია კონკრეტული დაავადებებიც, ზოგი ტიპის დაავადების საზოგადო სახელიც, ცრურწმენებიც (გათვალვა, თვალის წაკვრა, უჟმური) და ორგანიზმში იმანენტურად მიმდინარე სნეულებებიც.

დადასტურდა შემდეგი კონკრეტული დაავადებები: **ცხრო/განცხრო, მუცლის ტკივილი, გულის და მუცლის წყალმანკი, ბუასილი, სურავანდი, საწერელი, მატაური, საყვითლო, ჯირყვალა.**

„დედაბრული ხელით“ შესრულებულ ავგაროზებში ტერმინი **მაღარია** არ გამოიყენება, მეტწილად გვხვდება არქაიზიმი **ცხრო**, მასთან ერთად გამოიყენება **ციებაც**.

ავგაროზებში დასახელებულია ცალკეული დაავადების სიმპტომები: **მუცლის ტკივილი, ციება, ცხელება, ტეხა, მედგარი ტეხა, სიმსივნე**. ეს უკანასკნელი არ აღნიშნავს ონკოლოგიურ დაავადებას, შემუშავებს გამოხატავს. ძლიერ, შემაწუხებელ, აუტანელ ტკივილს **სიმწვავის ქარი** ეწოდება.

იდენტურია ზოგი დაავადების და მისი სამკურნალო მცენარის/საგნის (**მატაური**), ან დაავადების და მისი გამომწვევი ავსულის (**უჟმური**) სახელები.

მსჯელობა. ავგაროზი არის ქრისტეს აპოკრიფულ წერილთა ადრესატის – ედესის მმართველის სახელი, რომელიც უკურნებელი სენით იყო შეპყრობილი და იესომ განკურნა. ავგაროზის ეპისტოლეში სწორედ ეს ამბავია აღწერილი. ძველად ქალაქზე დაწერილ, ოთხად მოკვიცილ ნაწყვეტებს ეპისტოლედან, შელოცვებს, ლოცვებს, მაგიურ ფორმულებს ახალუხის სახელოსთან იკერებდნენ. დღემდე ზოგიერთი ადამიანი ავგაროზს მუდმივად ატარებს. ეპისტოლეების ტექსტები უძველეს პაპირუსებსა და ეპიგრაფიკულ წარწერებშიც დასტურდება.

ორთოდოქსული ეკლესია თავიდან კრძალავდა ამ მოვლენას, რადგან თავდაპირველად ავგაროზები წარმართული იყო, ისინი დიდად არ განსხვავდებოდა ამავე შინაარსის წარმართული ფორმულებისაგან. ქრისტიანულ აღმოსავლეთში ისინი ამიტომაც გადაკეთდა ქრისტიანულად. ასე და ამგვარად, „მან მტკიცედ მოიკიდა ფეხი და ლიტერატურული ძეგლი ამულეტად, თილისმად იქცა“ (ჩხიკვაძე, 2007: 29).

„ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონის“ მიხედვით, ავგაროზებს იყენებდა კავკასიაში მცხოვრები სხვადასხვა სარწმუნოების ხალხი. სვანებს ბალყარეთიდან გადმოჰქონდათ ავგაროზები, ბორჩალოელ თათართა ავგაროზებში კი ქართული ლოცვები იყო ჩაკერებული. ქართველთა ეთნოგრაფიულ ყოფაშიც ავგაროზს საგანგებო ადგილი ეჭირა. მას განკურნებას ან მფარველობას მიაწერდნენ. ს. ჯანაშიას მუზეუმში ავგაროზების კოლექციაა დაცული.

კ. კეკელიძის მიხედვით, „ავგაროზს ზოგ ეპოქასა და ზოგიერთ კანონიკურ წრეში კანონიკურ ღირებულებასა და მნიშვნელობასაც კი აძლევდნენ, რის გამოც... მას სახარებაში ათავსებდნენ“ (კეკელიძე, 1980: 197).

ქრისტიანულ აღმოსავლეთში წარმართულმა ფორმულებმა „სიმბოლური შინაარსი შეიძინა და განკურნება იქცა არა კონკრეტული სენისგან გათავისუფლების, არამედ სულიერი მანკიერებისა და ვნებისგან დახსნის პირობად“ (ჩხიკვაძე, 2007: 108).

გვიანდელ ნათარგმნ ტექსტებში (XIV-XV სს კურთხევანი, იოანეს და მათეს საკითხავები) ჩართულია სამკურნალო რეცეპტები და შელოცვები. ასეთნაირად იქცა ანთროპონიმი „ავგაროზი“ საზოგადო სახელად. „როგორც ჩანს, სწორედ აღნიშნულ ეპოქასა და ნუსხას უნდა დაედო საფუძველი ქართულ ხელნაწერთა ტრადიციაში „ავგაროზთა“ შეტანისა და გავრცელებისათვის“ (ჩხიკვაძე, 2007: 120).

ქრისტეს საკვირველმოქმედი ძალა წმინდა გიორგის უკავშირდება, მისი საკვირველმოქმედი ძალის რეალიზება ამ წმინდანის მეოხებით ხდება შესაძლებელი. მკვლევარ ნ. ჩხიკვაძის აზრით, ეს აიხსნება ქართული ორიგინალური მწერლობის გვიან დაინტერესებით (მე-16-მე-19 სს.). ყველა ავგაროზი მე-19 საუკუნით თარიღდება.

თ. სახოკიას აჭარაში მოგზაურობისას თვალში მოხვედრია ის, რომ აჭარაში „ავგაროზები კი ყველას ჰკიდია გულზე, რომ ავის თვალთ არავინ შეხედოს, არავინ გათვალოს“ (სახოკია, 1950: 122).

„ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ შესრულებულ ავგაროზებში გასაიდუმლოების ფუნქციას ფაქტორს შემლოცველის დამოკიდებულებაც ემატებოდა. ეს იმ სოციალური ჯგუფის, პროფესიული წრის (მკურნალთა, შემლოცველთა), მეტყველებრივი ნაირსახეობაა, რომლის სიტყვები და გამოთქმები მხოლოდ შემლოცველისთვის უნდა ყოფილიყო გასაგები (ხახუტაიშვილი, 2017: 14-15). მოკლედ, ამ რიტუალური არგოს მიზანი ნათქვამის გასაიდუმლოების, შეფარვის გზით დაავადებებისგან განკურნებაა.

მაგიური მკურნალობის დროს ასახელებდნენ სნეულებებს. ავგაროზთა ტექსტებში ბევრია დაავადების სახელი: ცხრო/განცხრო, წყალმანკი, ქარი, კუს ქარი, საჯდომის ქარი-საჯდომი ნერვის თიაქარი, თია/თიაქარი, სურავანდი, საწერელი (ფრჩხილის ქვეშ ინფექციის შეჭრით გამოწვეული დაჩირქება, ანთებითი პროცესი, პანარიციუმი), ჯირყვალა, ბაღასირი (ბუასილი), მატაური, საყმაწვილო, საყვითლო.

„ლოცვა საღმობისა, სატკივარისა, ცივებისა, ხურვებისა, მედუგურისა ტებისა, სურავანუდისა, რუკუისუ ქარისა, საწერელისა, საჯდომისუ ქარისა, მუცელისა, გულისა, წყალმაკისა, მაკირისა, საყვითულისა“ (ავგაროზი Q 1556).

ღუმერუთო და ოთუხუნო სახარებანო: მარუთო, მარუკოზიზუ, ლუკა, იოვანე, გადაარუჩინე...ცივებისაგანუ, ცუხელებისაგანუ, ცუხურო და მავალისაგანუ, უჟამისუ მუცე-ლისუ ტუვიელისაგანუ, ტერისუ ბუძოლისაგანუ, იხუსენი, ღუმერუთო და იპატივე, ვისაცუ ესუ ანუგაროზი ხუქონუდესუ, ვისაცუ შეწუხებულუსუ წაუკითუხოთუ, ღუმერუთი მუოხე-ბუსუ, ამინუ (ავგაროზი Q 1556).

„ლოცვა საღმობისა, სატკივარისა, ცივებისა, ხურვებისა, მედგრისა ტებისა, სურავანდისა, რუკუის ქარისა და საწერელისა, საჯდომისა თიაქარისა და ავსა ქარისა, მუცელისა, გულისა, წყალმაკისა, ბაღასირსა, სიყვითლისა...“ (kob.).

კონკრეტული დაავადების სახელთა გაანალიზებამდე განვიხილოთ ავადობის საზოგადო სახელები, ჰიპერონიმები:

ლოცვა საღმობისა, სატკივარისა...; ეგრეთვე განქარდენ ყოველი მედგარი საღმობა; სამასსამოცობთო დიდო წუმინდაო გიორუგი, დეიცევი და შეიბრალე ყოველისა ავადობისაგან, ავათყოფ(ნ)ისაგან, მოჩუვენებისაგან (kob.).“

სულხან-საბა ორბელიანთან ავადმყოფობის გამომხატველი ლექსემებია სნეულება, სნება, სენი. ამათგან სენი და სნება ზოგადი სახელებია ყველა სულიერის შესაძლო დაავადებისა, სნეულება კი მხოლოდ ადამიანებისთვის დამახასიათებელი დაავადებების აღმნიშვნელია (ბაკურაძე, 2010: 4).

ქართული ენის ციფრული ლაბორატორიის მიხედვით, ავადმყოფობის სინონიმებია: ავადობა (მოძვ.), სნეულება, სენი, სნება, სატკივარი; დასნეულებისა – დასნებოვნება, დაავადყოფება, სენის შეყრა.

„დედაბრული ხელით“ შესრულებულ ავგაროზებშიც ხშირად გვხვდება ჰიპერონიმები: ავადმყოფობის ზოგად სახელებად საღმობა და ავადობა ყველა ავგაროზში გვხვდება, ხშირად გვხვდება სატკივარი (kob.), ს(ნ)ეულება (H 1258ა), გვაქვს ავათყოფნა (Q 1556) // ავათყოფ(ნ)აც (kob.) და ერთგან გამოვლინდა ავი ყოფნაც (kek.2).

როგორც აღვნიშნეთ, ამავე ფუნქციით გამოიყენება ქარი, ავი ქარი და ჭირი, ანუ ყველა ის დაავადება, რომლებიც შესაძლებელია, ადამიანის სხეულის სხვადასხვა ნაწილში ბუდობდეს.

ჭირი (ლათ. Pestis – სენი) ბუნებრივი კერის მქონე მწვავე ინფექციური დაავადებაა. ქართული ენის ციფრული ლაბორატორიის მიხედვით, ეს იყო ცხოველთა ვირუსული დაავადებების საერთო სახელწოდება. ზოგან განმარტებულია, როგორც კონკრეტული

დაავადებაც: სახადი იყო ყვავილი და **ჭირი**. ავგაროზებში ის დაავადებათა საზოგადო სახელად მოიხსენიება, **ანუ ჰიპონიმია**:

რაცუ ქარი და ჭირი მაგუ მარუწუვილისა ნამუსუხუმანუსა ხარუ თუვალუსა, ყურუსა, გულუ-მუცელუსა, ზურუგუსა, ფერუხოსა, ბარუკალუსა, მუხულუსა, კოჭუსა, თითუსა, ფუჩუხილუსა, რასაცუ ნამუსუხუმანუსი შესულიყო წურაფული გამოდი, გამიეცალე თუვარა მოვიდა მიქელუგაბურიელი მუთავარუანუგელოზი“ (ავგაროზი Q 1556).

„რაცა ქარი და **ჭირი** ამა კაცისა ასოთა შინა ხარ თავსა, თვალსა, ყურსა, გულსა, მუცელსა, ზრუგსა, თემოსა (kob.); რაცუ ქარი და **ჭირი** მაგუ მარუწუვილისა ნამუსუხუმანუსა ხარუ... (Q 1556).

შუა საუკუნეების ფუნდამენტურ სამედიცინო თხზულებებში „უსწორო კარაბადინი“ (X-XI სს.), „წიგნი სააქიმოდ“ (XIII ს-ის დასაწყისი), „იადიგარ დაუდი“ (XVI ს.) შავ ჭირს ავი **ჟამიც** ეწოდება. ავი **ჟამით** (ტლალუნი, არაბ.) სხვადასხვა ადგილას გამოსდიოდა მუწუკი (მჯდომი).

„დედაბრული ხელით“ შესრულებულ ავგაროზებში ხშირად გვხვდება ძველი ქართული ლექსიკური ერთეულები: **ცხრო** (ძვ. ციება), **ცხროება** (ძვ.) (**ციებ-ცხელება, მალარია**): გგუემოს შენ... სენითა სიციხისადათა და **ცხროთა** (II შჯ. 28,22).

„ოდეს იკითხოს ლოცვა ესენი...ყოველისა მედგრისა **ცხერო და ხორვებისა** გარანეს. წინაშე თვალთა მისა იგი გამოხსნილ არს ყოველისა საეშმაკოსა ნასკოსანა...სკნიდა (ყოველისა მედგრისა **ცხრო და ხურვებისაგან** სნინა“ (sic) (Kob.).

„შამოქმედისათა კურთხეულისათა ვითარ დადნის წინაშე ცეცხლისა, ეგრეთვე განქარდენ ყოველი მედგარი სალმოზა, **ცხრო და ხურვება**“ (kob.);

„ეშმაკო... რწყეულო, მედგარო. გრძნეულება, სალმოზა, **ცხრო და ხურვება** და ყოველი შეტყუვილი ეშმაკისადამცა დაიცვების“ (kob.).

როგორც ვხედავთ, აღნიშნული დაავადებისთვის შელოცვაში გამოყენებულია როგორც ძველი **ცხრო** (შემორჩენილია აჭარულსა და აღმოსავლეთი საქართველოს მთის დიალექტებში), ასევე ახალი ქართული სიტყვა **ციებაც**. ქობულეთის ავგაროზში **ცხრო** 6-ჯერ არის ნახსენები, **ცი(ც)ება – 4-ჯერ**, **Q 1556 ავგაროზში – 6-6-ჯერაა** ნახსენები **ცივება** და **ც(უ)ხ(უ)რო**, **H 1258 ავგაროზში ცივება** გვხვდება **4-ჯერ**, **ც(უ)ხ(უ)რო – 9-ჯერ**.

„შენთხოვისაგან დლითა და ღამით მაგალისა, **განცივებისა, განციხელებისაგან, ცხრო და მაგალისაგან**, უჟამის მუც(ლ)ის ტკივილისაგან, მტერის ბძოლისაგან იხსენ ღმერთო“...

სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით **ცხრო** არის *Turk.* თითრამად *ZAaBCD. Arm.* ჯიერმიელ *ZCb*, ჯერმიელ *AaB*, ჯერმიელ *Ca*, ჯერმუმ *CqD*. (2 შჯულ. 28, 22), ცივების სენი. ყო(ვ)ელ დღე ცხროებას ეწოდების **ენამეროს** და **აფიკაროს**; მეორის დღის ცხროებას... ეწოდება **ლევაია**; რა ორი დღე გამოუშვას და მესამეს დღეს გააცხროს, ეწოდების **ეტრატეოს** *ZA* (2 შჯულ. 28, 22) (საბა, 1991). **ცხრო** ფშაურში, თუშურსა და ხევსურულშიც ცივების, კანკალის მნიშვნელობით გამოიყენება (ქდვ).

საბასთან **ცხელება** ასეა განმარტებული: *L. ფებრის B. Turk.* ისითმად *ZAaB. Arm.* ტაქცნიელ *ZAaB*. ჯურვება *ZAB*. სიცხე, ცხოზა (საბა, 1991).

როგორც ცნობილია, მალარიის გავრცელება უკავშირდება ჭაობებს, მათს ორთქლსა და ცუდ სანიტარიულ მდგომარეობას. „დაავადების თავიდან ასაცილებლად ზაფხულობით მთაში მიემგზავრებოდნენ, ამიტომაც აგებდნენ მთებში სახლებს, ძირითადად ხისგან ბოძებზე აგებდნენ, ასევე კვების რაციონში წიწაკისა და ნივრის გამოყენებაც მალარიის პრევენციას ემსახურებოდა“ (მინდაძე, 2013: 67). „ცხრო აღარაა ჩვენში. ათასნაირი წამლები შამოვდა“ – ვკითხულობთ შ. ნიჟარაძესთან (ნიჟარაძე, 1961: 149).

„იადიგარ დაუდი“ დასახელებულია **ცხროს** გამომწვევი მიზეზებიც: სიგრილე, ბალღამი, კვერცხის გულისფერი ნაღველი, შავი ნაღველი და ა.შ. (ბაგრატიონი, 1985).

ციეზა და **ცხელებაც** ზოგიერთი დაავადებისათვის დამახასიათებელი სიმპტომია, ნიშანია. შემცივნება-შეჟრჟოლება, სიცხის მომატება ხელნაწერებში ხშირად მოიხსენიება ცხროს (მალარიის) სინონიმად (სურმანიძე, 1991: 167). დედაბრული ხელით შესრულებულ ავგაროზებში ტერმინი **მალარია** არ გამოიყენება, რამდენიმეჯერ დასტურდება **ცხრო**.

ცხროსთან ერთად ხშირად სახელდება ინფექციურ, გადამდებ დაავადებათა საერთო სახელი – ჰიპონიმი **მავალი**, ანუ მოარული, „ცხრო და მავალისაგან, უჟამის მუც(ლ)ის ტკივილისაგან. ამ ტერმინს ჩვენებურებიც იყენებენ: **მავალაჲ** იარება, ყუელას დეგვემართა ჩუენ სახლში (ინეგოლი) (ფუტკარაძე, 1993).

აჭარის გეოგრაფიული გარემო ხელს უწყობდა სხვადასხვა დაავადების გავრცელებას. ფართოდ იყო გავრცელებული გადამდები დაავადებები, რომლებიც, ხალხის რწმენით, მავალი, „ჩამომრები“ იყო, ყველასთან უნდა მისულიყო. საინტერესო ფაქტია, რომ გ. ცოცანიძის თუშური ლექსიკონის მიხედვით, **მავალი** იგივეა, **რაც სურავანდი**, უმთავრესად კბილებისა და ღრძილების ავადმყოფობაა (ქდკ).

ავგაროზებში დასახელებულია **წყალმანკი**. ეს არის სეროზული სითხის დაგროვება ქსოვილებში, ორგანიზმის ღრუებსა და პარენქიმულ ორგანოებში, კანქვეშა ქსოვილში (Anasarka), პერიკარდიუმში (Hydropericardium), პლევრის ღრუში (Hydrothorax), მუცლის ღრუში (Ascitis) და სხვ. ავგაროზებში დასახელებულია **მუცლის და გულის წყალმანკები**:

„ლოცვა ...**მუცლისა, გულისა წყალმანკისა, ბაღასირსა, სიყვითლისა, სიმსივნისა მართლებელისა თვალსა, ყურსა, გულსა, მუცელსა, ზრუგსა, თეძოსა, ბარკალსა, კოჭსა და თავსა და პირსა, რასაცა ნახმანსა შინა ხარ, წრაფლ გამოდი და განემორენი**“ (kob).

საბა ამ დაავადებას შემდეგნაირად განმარტავს: წყლით მანკიერი Z.A. წყალმანკი, **მანკივინება** რამ დაშთომილი Z.A. ვნება რამ დანაშთომი B. წყლულის (+ ანუ ვნების Cb). (ორბელიანი, 1991).

ავგაროზებში ხშირია იმ ინფექციურ **დაავადებათა სახელები**, რომლებშიც შედის სიტყვა **ქარი**. მრავლობითი რიცხვის ფორმით გამოყენებული **ქარი** (ძვ. „ჰაერის ძლიერი მოძრაობა; „სული“), ანუ **ქარები** სახსრებისა და კუნთების დაავადებას, რევმატიზმს, აღნიშნავდა.

სატადრო, ანუ სამონასტრო მედიცინის მიხედვით სამყაროში ყველანაირი დაავადების გამომწვევი **ცხელი ან ცივი ქარია**.

ქარ საერთო ქართველურ ფუძედაა მიჩნეული. ქართ. **ქარ-ქრ** ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრ. **ნქირ-ქურ-ქორ-ოაუ** პროცესის შედეგად) და **სვან. ქარქრ**. ლაზურში შესატყვისი ძირი არ ჩანს (ფენრიხი & სარჯველაძე, 2000).

შესაბამისად, **ქარი** და მისი შემცველი კომპოზიტები: **ქარ, მჭვალის ქარი, ნეკრისის/ ნეკრესის ქარი, ალის ქარი** (სიცხიანი რევმატიზმები) სხვა ქართველურ ენებშიც დასტურდება. დიალექტებში გვხვდება **ქარცეცხლა, ქარშაკივი, ქარტეხა, ქარსოკო, ქარსურავანდი**.

ნ. ჭოხონელიძემ ქართულის ენის დიალექტებში შეისწავლა ის დაავადებანი, რომელთა დასახელებამაც არის ცნება **ქარი**. ესენია: **მაგ., თია, თიაქარი, ფერდის ქარი, ფილენჯის ქარი, საკევი ქარი (შაკივი), კუს ქარი, სიმწვავის ქარი**.

მკვლევარმა განიხილა ასევე დაავადებათა ისეთი სახელებიც, რომლებიც ქეგლ-ში იდიომებადაა მიჩნეული: **წითელი ქარი** (კანისა და ლორწოვანი გარსების ანთება; იწვევს განსაკუთრებული მიკრობი; გამოხატული გასიებითა და გაწითლებით, **ქარსურავანდადაც** მოიხსენიება (კალმ.); **ნიკრისის ქარი** (სახსრების და ქსოვილების ქრონიკული დაავადება, „ავი ქარი“ (საბა), **ფილენჯის ქარი** (ორგანიზმის ერთი რომელიმე ადგილის დამბლა (ეს უკანასკნელი სახელი გვხვდება კახურშიც (ქიზ. მენტ.). რ. სურმანიძეს „მცირე კარაბადინში“ დასახელებული აქვს **ფელენჯი** (ტანის ნახევრის „აბას დასუსტება, ჰემიპარეზი. „სენი დამგრეხელი“ (ბნედა) (სურმანიძე, 1991: 157).

„მცირე კარაბადინში“ დასახელებულია ასევე **ფერდის ქარი**, **ფუში (პოდაგრა)** და **სევდის ქარი** (მელანქოლია). ზოგი ავტორი ნაწლავებში გაზის დაგროვების სინონიმადაც **ქარს** იყენებს (სურმანიძე, 1991: 161).

ავგაროზებში ჯერ ზოგადად სახელდება **ქარი**: „რაცა ქარი და ჭირი ამა კაცისა ასოთა შინა ხარ თავსა, თვალსა, ყურსა, გულსა, მუცელსა, ზრუგსა, თეძოსა (kob.); რაცუ ქარი და ჭირი მაგუ მარუწვილისა ნამუსუხუმანუსა ხარუ...“ (Q 1556).

კუს ქარი, **კუს ქარები** ძუძუს თავების დასიება, დახეთქვაა, ტკივილია, სისხლიანი გამონადენი ძუძუს თავებიდან. ამ დაავადებას **კუს ქარს** ეძახიან ქართულშიც, მესხურშიც. **კუს ქარს** ეტყოდენ, რო დაუსივდებოდა, ამოებერებოდა და იმატებდა ი სისივნეი, გაახურებდენ ბარსა, გაავარვარებდენ და უღვებდენ შორიახლო, რასაც გაუძლებდა (ხც.) (ქართლ. მესხ.) (ქდკ).

თიაქარი არის ავადმყოფობა, რომლის დროსაც შინაგანი ორგანო (მაგ., წვრილი ნაწლავები), მუცლის კედლის აპკითურთ, მუცლის ღრუდან კანქვეშ გამოდის.

აქ ნახსენებია **საჯდომის ქარი/თიაქარიც**: „ლოცუვა სალუმობისა, სატუკივარისა, ცივებისა, ხურუვებისა, მედუგურისა, ტეხისა, სურავანუდისა, რუკუისუ ქარისა, საწერელისა, **საჯდომისუ ქარისა (Q 1556)**; ავსა ქარისა, რკუის ქარისა და საწერელისა, **საჯდომისა თიაქარისა** და ავსა ქარისა (kob.).“

საბასთან **ნიკრისი** ასეა განმარტებული: ნიკრისი *Turk.* ნიყრის ZAAABCDE (+ 2, 2 დიოლოდ. ZAA) სენია, **ავი ქარი** (+ უწამლო A) ZABC. *განუმარტავია* D.(უკმ.) სენია E.

ქობულეთის ხელნაწერში დასახელებულია **ავი ქარი**: *რკუის ქარისა და საწერელისა, საჯდომისა თია ქარისა და ავსა ქარისა*“ (kob.). არაა დასახელებული **ნიკრისის ქარი**.

ქოლერის გამომწვევად „ქოლერის ქარი“ ითვლებოდა მანამ, სანამ ბრიტანელი ექიმის, ჯონ სნოუს კვლევის თანახმად, ქოლერის გავრცელების მიზეზი დაბინძურებული წყალი აღმოჩნდა.

Q 1556 ხელნაწერში ნახსენებია **სავაჟო ბილწი ქარიც**: სავაჟოსა პილუწისუ ქარისა, საყუმარუწვილოსა.

სურავანდი, **სკორბუტი** ადამიანის დაავადება, კბილების ცვენა, რომელიც გამოწვეულია საკვებში C ვიტამინის (ასკორბინის მჟავის) ნაკლებობით. საბას მიხედვით, **სურავანდი** არის *Turk.* **ნუზლა ZAABCD**. ZABCD. **ნუზლა** არაა განმარტებული.

შელოცვებში ნახსენებია **ბაღასირიც**, იგივე **ბუასილი**, ჰემოროიდული დაავადება: „ლოცვა...სალუმობისა, სატუკივარისა, ცივებისა, ხურუვებისა, მედურისა ტეხისა, სურავანდისა, რკუის ქარისა და საწერელისა, საჯდომისა თია ქარისა და ავსა ქარისა, მუცლისა, გულისა, წყალმაკისა, **ბაღასირსა, სიყვითლისა...**“ (kob.).“

საბას მიხედვით, ეს სიტყვა ქართული არ არი, სოკო ჰქვიათ **B ბავასირი**, სენი, სოკო *L. ფონგი B. Turk.* ქობალაქ ZAABCD, გობალაქ E. *Arm.* სუნგ ZAAABCDE. ZABCDE.*L.* მორათიე **B. Turk.** ბაბასილ ZBCD, ბაბასილი Aa. სენია ერთი ZA. **ბავასირი, ბუასილი.**

დავით ბაგრატიონის „იადიგარ დაუდის“ მიხედვით, არის **ბავასილი** (ბაგრატიონი, 1985:695), **ბოვასილ-ბუასილიც** და **ნოვასილიც** (იქვე, 717). აქვე დასახელებულია **ბუასილის ქარი** (ბაგრატიონი, 1985: 656). **ბუასილი სოკოს ქარად** მოიხსენიება **ზემოიმერულშიც** (ზ. იმ. ძოწენ.), მას **ქარ სოკო** ჰქვია მესხურში (მესხ. ფეიქრ.).

ავგაროზებში ნახსენებია **მატაური**: ზ. აჰარ. ბავშვის ყელის ავადმყოფობა, **ყელჭირვება** (შ. ნიჟარ.).*თუ ბაღეთუ ბაღე ყელჭირება, მატავრა შეყერებოდა, მაშინ „მატავრა ძივით“ არჩენდენ მას (ხულო, ძირკვაძეები) (ქდკ).*

გურულ, ზემოიმერულსა და ლეჩხუმურ ლექსიკონებში დაცულია **მატაურის ქარი** და განმარტებულია, როგორც სენი, ძვლის გამტეხი, ანუ ძვლის ტკივილი.

ალ. ნეიმანის სინონიმთა ლექსიკონში **ყელჭირვების** სინონიმია **ქუნთრუშა**. **მატაური** ზოგან განმარტებულია, როგორც ეპილეფსიის მსგავსი ავადმყოფობა, რომელმაც იცის

ბავშვის კრუნჩხვებში ჩაგდება; წყევლაც არსებობს: „მატაურმა შიახმოს მისი ხელი და ფეხი“ (გ. შარაშ).

საინტერესო ფაქტია, რომ მესხეთში **მატაური** ჰქვია ავგაროზს, კაკლისოდენა ოვალურ ქვას, რომელიც სეტყვის შემდეგ ვარდება ზეციდან. ის თაობიდან თაობას გადაეცემა. ვინაიდან ის იშვიათია, მას სასწაულებსაც მიაწერენ. „მატაურით“ მკურნალობენ ქალის უშვილობას, მუცლის მოშლას, აგრეთვე ბავშვის გათვალვას.

შელოცვა, მაგიურ-რელიგიურ საშუალებათა გამოყენება, კომპლექსური მკურნალობის ნაწილი იყო. „მაგიური შელოცვების მეშვეობით მკურნალობდნენ აჭარაში „მატაურას“ (ქუნთრუშა), „წმინდანს“/“გოჟოს“ (რაქიტა), შაკიკს, სურდოს, „ყიყვს“ (ჩიყვი), „საყვითლოს“ (ბოტკინი) და სხვ. (ბაგრატიონი, 2021: 373).

„მცირე კარაბადინში“ დასახელებულია **ხუნაგი**, რომელიც განმარტებულია, როგორც ყელჭირვება, მახრჩობელა, დიფტერია, სასის გასივება (საბა). „დედაბრული ხელით შესრულებულ ავგაროზებში ეს ტერმინი არ გვხვდება.

ავგაროზებში დასახელებულია **საყვითლო** (ჰეპატიტი): წუყალუმაკისა მაკირისა, **საყუვითლისა**... (Q 1556), **ჯირკული** (ჯირკვალი BCD) არის ყელთა, კისერთა და ღლიათა კორძი. სავარაუდოდ, უკანასკნელი დაავადება ლიმფური ჯირკვლების გადიდებაა (Lymphadenitis).

ნახსენებია ასევე **საწერელი**, ხელის თითების ქსოვილების მძიმე ავადმყოფობა, იგივე **პანარიციუმი (Panaricium)** აჭარაში ამ დაავადებას ბედნიერსაც ეძახიან, თუმცა ავგაროზებში არაა ნახსენები.

ავგაროზებში დაავადებათა დასახელებების გვერდით დასახელებულია სიმპტომებიც. ასეთია ჩვენს მასალებში ასევე **ტეხა**. საბას მიხედვით, ის არის მწარე ტკივილი ZAB, გინა მოტეხა, გატეხა ZAB. მწვავე ტკივილს, ამა თუ იმ ორგანოს ტკივილისაგან გამოწვეულ მთელი სხეულის ტკივილს **სიმწვავის ქარსაც** ეძახიან (ქიზ.), მუცლის ჭვალს, ნაწლავების მჭრელ ტკივილს **ქარტეხა** ჰქვია (თუშ. ცოც.).

მედგარი დღეს ძლიერს, შეუპოვარს ნიშნავს, ძველ ქართულში აღნიშნავდა **მდგომს**, **მდგომარეს**; **ზარმაცს**, **სასტიკს**, **ბოროტს**, **შეუბრალებელს**. ეს სიტყვა ძველ ქართულში **უძლურსაც** (გრემლის ეპითეტია, სინურ მრავალთავში) და **უნდოსაც** (ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთათვის“) გამოხატავდა (ცეცხლაძე, 2006).

მედგარი არის უძველესი საერთო ქართველური **დეგ** ძირის შემცველი სიტყვა. მისი უპირველესი მნიშვნელობა უძრობის გამოხატვა უნდა ყოფილიყო. **დეგ/ადგილი** თავდაპირველად მიწას აღნიშნავდა, აფხაზურშიც ამ მნიშვნელობითაა იგი შესული. **მედგარის** თავდაპირველი, ზედმიწევნითი მნიშვნელობაა „მიწაზე მედგარი.“ აქედან იღებს სათავეს მისი ორი, ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობაც (მაჭავარიანი, 2015: 22).

მედგარი ავგაროზებში ახალი მნიშვნელობით გვხვდება: გამოიყენება ძლიერი, მწვავე დაავადებების აღსანიშნავად. ესენია: **მედგარი ტეხა**, **მედგარი სალმობა** (kob.), **მედგარი ცხრო და ხურვება** (Q 1556), (H 1258ა).

ავგაროზებში დასახელებულია თავუჩენარი დაავადებებიც, ანუ სნეულებანი, რომელთაც ჯერ არ უჩენია თავი: „ვისაცუ შეწუხებულუსუ ესუ ანუგაროზი ეკითუხოთუ მისი სატუკივარი და თუეუჩენარი ამინუ“ (Q 1556). ეს უკანასკნელი ავგაროზი იმითაცაა საინტერესო, რომ **უქმური** უპირისპირდება „მართალ“, „ანუ ნამდვილ დაავადებებს: **ლოცუვა მარუთალითაი სენუთა და უქამურუთა** (Q 1556).

უქმური გაციებისგან გამოწვეული ტანში მტვრევაა. იგი, როგორც დაავადება, „ბავშვის ჭირვეულობას, უგუნებობას და, ზოგ შემთხვევაში, საყმაწვილო სენსაც გულისხმობდა. მთიელთა განმარტებით, **უქმური** ავსული იყო. იგი ნესტიან ადგილებში ბინადრობდა და თუ იქ საღამოთი ბავშვი გაივლიდა, აუცილებლად აჰყვებოდა“ (მინდაძე, 1981).

უქმურის შესახებ თ. სახოკია წერდა: მეგრელთა წარმოდგენით, „გაცივების უხილავი სულები ნოტიო ადგილას ბუდობენ, ჭინჭრობებში, ღელეების ნაპირებზე. ადამიანს გუბებში ჩავარდნის, სველ ან ნესტიან მიწაზე ჯდომის შემდეგ აჰყვება სინესტე, რომელიც ეკუთვნოდა ჟამს, რომელიც სჯის გაცივებით, ციებით. თვით დაავადებას მეგრულად ჰქვიათ **ჟამუა**, ხოლო ჟამისგან დასჯილს – **ჟამილი** (სახოკია, 1956).“

ლოცვა უქამურისა (kob); ღუმერთო, იხსენი ყოველისა საუქუმუროს ანუ იხსენი (kob.); სახელითა მუხუთითა მამისა ძისათა სულისა წუმიდისათა ლოცვა უქამურისა (ავგაროზი H 1258), ღუმერთო შენუ იხუსენი ყოლიფერი უქამურისაგანუ ავგაროზი (Q 1556).

აქვე დასახელებულია **თვალი**, **თვალყრა** (kob.), ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელნაწერში ნახსენებია თვალწაკრული, ეს უკანასკნელი H 1258 ა ავგაროზშიცაა და ნიშნავს **თვალწაკვრას** – ეშმაკის მიერ დაპატრონებას, ავი სულის შეყრას: გვეგებეთუ ქუვე... იხუსენი და გადაარუჩინე ყოველისა **თუვალუწაკრულისაგანუ** სახელითუ აიშესუ, იხუსენი ავი ყოფისაგანუ, ავადობისაგან.

აქვე დასახელებულია **მოჩვენება**: *დასუტურუ დასუტურუ, დიეხუსენი, გამიეშორე ყოლისა ავადყოფუნისაგანუ, მოჩვენებისაგანუ, ავი თუვალისაგანუ, ავი სულისაგანუ, სახელითა მუხუთისათა, მამისა ძისათა, სულისა წუმინუდისათა (ავგაროზი Q 1556).*

ქართველურ ენებში ზოგჯერ მცენარე პირდაპირაა სახელდებული სწორედ იმ დაავადების სახელწოდებით, რომლის სამკურნალოდაც ის გამოიყენებოდა ხალხურ მედიცინაში. მაგ.: **ქარცეცხლა** (აჭარაში ქრისტესისხლას ეძახიან) მცენარის სახელია და იმერულში, გურულსა და აჭარულში ავადმყოფობაცაა (ხოჭოლავა-მაჭავარიანი, 2006: 64). **ქარცეცხლი** ქართლურში **ეგზემასაც** (ქართლ. ბეროზ. და სხვ.) ეწოდება.

ავგაროზებში ნახსენებია **სიმსივნე**: *საყუვითულისა, სიმუსიუნის მარუთოლე-ბელისა მარუტოლებელისა ენა-ყუბისა (Q 1556).*

ლოცვა... სიმსივნისა მარუთლებელისა თვალსა, ყურსა, გულსა, მუცელსა, ზრუფსა, თედოსა, ბარკალსა, კოჭსა და თავსა და პირსა, რასაცა ნახხმანსა შინა ხარ, წრაფლ გამოდი და განეშორენი“ (kob.).

ჩვენი შეხედულებით, სიმსივნე აქ გასიებას უნდა ნიშნავდეს და არა ონკოლოგიურ დაავადებას.

ფემბესეული კარაბადინის („შაშკლავი დანაყეთ, დაადევით, სიმსივნეს დაუცხრობს“ (გვ. 29) და ზაზა ფანასკერტელის ცნობებზე დაყრდნობით („ერგების სტომაქისა ტკივილსა და სიმსივნეს ამისსა... (გვ. 201). რ. სურმანიძე მიიჩნევდა, რომ ორივე შემთხვევაში იგულისხმება მუცლის ღრუს ორგანოების ავთვისებიანი სიმსივნე (სურმანიძე, 1991: 102).

დასკვნა. ამრიგად, ზოგადად ავგაროზები მაგიური ტექსტებია, რომლებშიც ჩართულია სახარების ფრაგმენტები და შელოცვები. „დედაბრული ხელით“ შესრულებული ავგაროზები სტრუქტურულად და შინაარსობრივად მიჰყვება გვიანი პერიოდის ტრანსფორმირებული ავგაროზის ტექსტებს: მათში ჩართულია სახარების ფრაგმენტები და ნახსენებია წმ. გიორგის სალოცავები. ენა გასაიდუმლოებულია. შელოცვებით მკურნალობდნენ სხვადასხვა ტიპის დაავადებას. „დედაბრული ხელით“ შესრულებულ ავგაროზებში დასტურდება არაერთი ჰიპოთეზის მიხედვით: **სალმობა**, **სატკივარი**, **ავადობა**, **ს(ნ)ეულება**, **ავათყოფ(ნ)ა**, **ავადყოფნა**, **ავი ყოფნა**. ჰიპოთეზია **ჭირიც**. დაავადება **ჭირი**, **ანუ ჟამი/ ავი ჟამი** იგი უნდა იგულისხმებოდეს **მავალში**, რომელიც ყველა ინფექციური დაავადების სახელია.

„დედაბრული ხელით“ შესრულებულ ავგაროზებში დასახელებულია **დაავადებები**: **ცხრო/განცხრო**, **გულის და მუცლის წყალმანკი**, **კუს ქარი**, **ავი ქარი**, **საჯდომი ნერვის თიაქარი**, **თია/თიაქარი**, **მუცლის ქარი**, **სურავანდი**, **საწერელი**, **ჯირკვალი**, **ბუასილი**,

მატაური. არაა ნახსენები ნიკრისის ქარი. საწერელი იგივე პანარიციუმია, ბადასირი – ბუასირი, მატაური – ქუნთრუმა, ჯირყვალა – ლიმფადენიტი. შემონახულია არქაული ლექსემა ცხრო, განცხრო, ანუ ციებ-ცხელება, მალარია არ გამოიყენება.

დაავადებათა სიმპტომებია: მუცლის ტკივილი, ციება, ხურვება, ძვლების ტება, მწვავე ტკივილები, შეშუპება, ანუ სიმსივნე (შეშუპება).

მაგიური მეთოდებით მკურნალობდნენ გათვალვას, უჟმურსა და ორგანიზმში იმანენტურად მიმდინარე დაავადებებსაც,

ზოგ დაავადებას, მის სამკურნალო მცენარეს თუ ქვას ერთნაირი სახელი აქვს (მაგ. მატაური) ან იდენტურია დაავადებისა და მისი გამომწვევი ავსულის სახელები (მაგ. უჟმური).

ზემოაღნიშნულიდან ჩანს, მე-19 საუკუნეში რა დაავადებები იყო გავრცელებული აჭარაში, ასევე რომელ სნეულებებს მკურნალობდნენ მაგიური მეთოდებით ან მათი დახმარებით და საერთოდ, განვითარების რა სტადიაზე იყო იმხანად სამედიცინო ცოდნა საქართველოში.

გამოყენებული ლიტერატურა

- ბაგრატიონი, ა. (2021). ხალხური მედიცინის ისტორიიდან აჭარაში. *ბსუ, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები XV*. ბათუმი: გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“.
- ბაგრატიონი, დ. (1985). *იადიგარ დაუდი*. გამოსცა ვ. კოტეტიშვილმა, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“.
- ბაკურაძე, ლ. (2010). სნეულება და მასთან დაკავშირებული ლექსიკა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით. *სამეცნიერო კონფერენცია „ეთნოლინგვისტური საკითხავები II“*. ქართული ხალხური სამედიცინო ცოდნის ეთნოლინგვისტური კვლევის ასპექტები. თბილისი: ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი.
- კეკელიძე, ვ. (1980). *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია ორ ტომად*. ტ. I. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
- მაჭავარიანი, ნ. (2015). *მედგარის ეტიმოლოგიისათვის. ეტიმოლოგიური ძიებანი*. №12. თბილისი: „დედაენა“.
- მინდაძე, ნ. (1981). *ქართული ხალხური მედიცინა*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
- მინდაძე, ნ. (2013). *ქართველი ხალხის ტრადიციული სამედიცინო კულტურა*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
- ნიჟარაძე, შ. (1961). *ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი*. გამოკვლევა და ტექსტები ლექსიკონითურთ. ბათუმი: სახელმწიფო გამომცემლობა.
- ორბელიანი, ს.ს. (1991). *ლექსიკონი ქართული*. (ე. მეტრეველი, ც. ქურციკიძე, რედ.). ტ. I. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“.
- ორბელიანი, ს.ს. (1993). *ლექსიკონი ქართული*. (ე. მეტრეველი, ც. ქურციკიძე, რედ.). ტ. II. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“.
- სახოკია, თ. (1956). *ეთნოგრაფიული ნაწერები*. თბილისი: სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა.
- სახოკია, თ. (1950). *მოგზაურობანი – გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი*. თბილისი: „სახელგამი“.
- სამედიცინო და ვეტერინარული ხელნაწერები საქართველოსა და უცხოეთის წიგნთსაცავებში*. (2022). თამარ აბულაძისა და ლიანა სამყურაშვილის რედაქციით. თბილისი. <https://drive.google.com/file/d/1SZXXsEq2TbrLvgIUjxWiWrvUWMq8C86N/view>

(მოძიებულია 27.04.2024)

- სურმანიძე, რ. (1974). *მცირე კარაბადინი*. ბათუმი: გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“.
- სურმანიძე, რ. (1991). *მცირე კარაბადინი*. ნაწილი II. ბათუმი: გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“.
- ფენრიხი, ჰ., & სარჯველაძე, ზ. (2000). *ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი*. თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის თბილისის პედაგოგიკური ინსტიტუტის გამოცემა.
- ფუტყარაძე, შ. (1993). *ჩვენებურების ქართული*. ბათუმი: აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა.
- ქართველი ხალხის ეთნოლოგიური ლექსიკონი*. (2018). აჭარა. ბათუმი: შპს „გამომცემლობა სამშობლო“.
- ქართული კულტურის ეთნოლინგვისტური ენციკლოპედია*. (2023). თბილისი.
- ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი (2013). თბილისი.
- ქართული ენის ციფრული ლაბორატორია*. <https://rb.gy/i7pqup> (მოძიებულია 27.04.2024)
- ჩხიკვაძე, ნ. (2007). *ავგაროზის ეპისტოლე, ძველი ქართული თარგმანები*. თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“.
- ცეცხლაძე, ნ. (2006). *მიმღეობა ძველ ქართულში*. ბათუმი: გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“.
- ჭოხონელიძე, ნ. (2010). *ქარ სიტყვის შემცველი დაავადებათა აღმნიშვნელი კომპოზიტებისა და სინტაგმების წარმომავლობისათვის ქართული ენის დიალექტებში. სამეცნიერო კონფერენცია „ეთნოლინგვისტური საკითხავები II“; ქართული ხალხური სამედიცინო ცოდნის ეთნოლინგვისტური კვლევის ასპექტები*. თბილისი: ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი.
- ხახუტაიშვილი, მ. (2017). *ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელი*. თბილისი: გამომცემლობა „ივერიონი“.
- ხოჭოლავა-მაჭავარიანი, ნ. (2006). *მცენარეთა სახელდება ქართულში*. სადისერტაციო ნაშრომი. თბილისი.
- საქართველოს ლინგვისტური პორტრეტი*. <http://corpora.co/#/corpus>

REFERENCES

- bagrat'ioni, a. (2021). khalkhuri meditsinis ist'oriidan ach'arashi [From the history of folk medicine in Adjara]. *bsu, nik'o berdzenishvilis inst'it'ut'is shromebi [BSU. Proceedings of Niko Berdzenishvili Institute] XV*. Batumi: Publishing House “Batumi State University”.
- bagrat'ioni, d. (1985). *iadigar daudi [Yadigar Daud]*. Published by V. Kotetishvili. Tbilisi: Publishing House “Sabchota Achara”.
- bak'uradze, l. (2010). sneuleba da mastan dak'avshirebuli leksik'a sulkhan-saba orbelianis leksik'onis mikhedvit [Illness and Related Vocabulary According to Sulkhan-Saba Orbelian Dictionary]. *sametsniero k'onperentsia „etnolingvist'uri sak'itkhavebi II“*. kartuli

- khalkhuri sameditsino tsodnis etnolingvist'uri k'vlevis asp'ekt'ebi [Scientific Conference Ethnolinguistic Readings II. Aspects of ethnolinguistic research of Georgian folk medical knowledge].* Tbilisi: Arn. Chikobava Institute of Linguistics.
- k'ek'elidze, k'. (1980). *dzveli kartuli lit'erat'uris ist'oria or t'omad [History of ancient Georgian literature in two volumes].* Vol. I. Tbilisi: Publishing House "Metsniereba".
- mach'avariani, n. (2015). *medgaris et'imologiisatvis [For the etymology of Medgar]. et'imologiuri dziebani [Etymological researches].* №12. Tbilisi: "Dedaena".
- mindadze, n. (1981). *kartuli khalkhuri meditsina [Georgian folk medicine].* Tbilisi: Publishing House "Metsniereba".
- mindadze, n. (2013). *kartveli khalkhis t'raditsiuli sameditsino k'ult'ura [Georgian People's Traditional Medical Culture].* Tbilisi: Publishing House „Metsniereba“.
- nizharadze, sh. (1961). *kartuli enis zemoach'aruli dialekt'i [Upper Ajarian dialect of the Georgian language]. gamok'vleva da t'ekst'ebi leksik'oniturt [research and texts with a dictionary].* Batumi: State Publishing House.
- orbekiani, s.s. (1991). *leksik'oni kartuli [Georgian Dictionary].* (E. Metreveli, Ts. Kurtsikidze, Ed.). Vol. I. Tbilisi: Publishing House „Merani“.
- orbekiani, s.s. (1993). *leksik'oni kartuli [Georgian Dictionary].* (E. Metreveli, Ts. Kurtsikidze, Ed.). Vol. II. Tbilisi: Publishing House „Merani“.
- sakhok'ia, t. (1956). *etnografiuli nats'erebi [Ethnographische Beiträge].* Tbilisi: Publishing House of Scientific-methodical Cabinet.
- sakhok'ia, t. (1950). *mozgzaurobani – guria, ach'ara, samurzaqano, apkhazeti [Travels - Guria, Adjara, Samurzakhan, Abkhazia].* Tbilisi: „Sakhelgami“.
- sameditsino da vet'erinaruli khelnats'erebi sakartvelosa da utskhoetis ts'igntsatsavebshi [Medical and Veterinary Manuscripts in Georgian and Foreign Libraries].* (2022). Edited by Tamar Abuladze and Liana Samkurashvili. Tbilisi.
<https://drive.google.com/file/d/1SZXXsEq2TbrLvgIUjxWiWrvUWMq8C86N/view>
(27.04.2024)
- surmanidze, r. (1974). *mtsire k'arabadi [Small Karabadi].* Batumi: Publishing House „Sabchota Achara“.
- surmanidze, r. (1991). *mtsire k'arabadi [Small Karabadi].* II. Batumi: Publishing House „Sabchota Achara“.
- penrikhi, h., & sarjeladze, z. (2000). *kartvelur enata et'imologiuri leksik'oni [Etymological Dictionary of the Kartvelian Languages].* Tbilisi: Publication of Sul Khan-Saba Orbeliani Tbilisi Pedagogical Institute.
- put'k'aradze, sh. (1993). *chveneburebis kartuli [The Georgian Language of "Chveneburebi"].* Batumi: Adjara Magazine-newspaper Publishing House.
- kartveli khalkhis etnologiuri leksik'oni [Ethnological Dictionary of the Georgian People].* (2018). ach'ara [Ajara]. Batumi: Publishing House "Samshoblo".
- kartuli k'ult'uris etnolingvist'uri entsik'lop'edia [Ethno-linguistic encyclopedia of the Georgian culture].* (2023). Tbilisi.
- kartuli mat'erialuri k'ult'uris etnografiuli leksik'oni [Ethnographic dictionary of Georgian material culture].* (2013). Tbilisi.
- kartuli enis tsipruli laborat'oria [Digital laboratory of the Georgian language].*
<https://rb.gy/i7pqup> (27.04.2024)
- chkhik'vadze, n. (2007). *avgarozis ep'ist'ole, dzveli kartuli targmanebi [The Epistle of Amulet, Old Georgian Translations].* Tbilisi: Publishing House „Artanuji“.

- tsetskhladze, n. (2006). *mimgheoba dzvel kartulshi [Participle in Old Georgian]*. Batumi: Batumi University Publishing House.
- ch'okhonelidze, n. (2010). *kar sit'qvis shemtsveli daavadebata aghmnishvneli k'omp'ozit'ebisa da sint'agmebis ts'armomavlobisatvis kartuli enis dialekt'ebshi [For the origin of composites and syntagms denoting diseases containing the word kar in the dialects of the Georgian language]*. *sametsniero k'onperentsia „etnolingvist'uri sak'itkhvebi II“, kartuli khalkhuri sameditsino tsodnis etnolingvist'uri k'vlevis asp'ekt'ebi [Scientific Conference Ethnolinguistic Readings. II. Aspects of ethnolinguistic research of Georgian folk medical knowledge]*. Tbilisi: Arn. Chikobava Institute of Linguistics.
- khakhut'aishvili, m. (2017). *kobulur-ach'aruli dedabruli kheli [Kobuletian-Ajarian “Dedabruli Handwriting“]*. Tbilisi: Publishing House „Iverioni“.
- khoch'olava-mach'avariani, n. (2006). *mtsenareta sakheldeba kartulshi [Plant names in Georgian]*. Dissertation. Tbilisi.
- sakartvelos lingvist'uri p'ort'et'i [Linguistic portrait of Georgia]*. <http://corpora.co/#/corpus>